



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

**ო კ მ ი N18**

ქ. მარნეული

08.11.2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ამირან გიორგაძე, რიჩარდ გიგანი, ბესიკ გელენიძე, ნოდარ მთვარელიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ზურაბ ჭონიაშვილი, ნადირ გულიევი, ტარიელ მამედოვი, დავით ხუციშვილი, ლევონ აკოპიანი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, არსენ ახვერდიანი, ომარ ირიშოვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი.

არ ესწრებოდა:

ბესიკ გუჯეჯიანი, ზურაბ ფანგანი, ილხამ გასანოვი, ნიკოლოზ მუმლაძე, რამინ ალახვერდიევი, თორნიკე გოგლიძე, გეიდარ მუსაევი, აშრაფ ტუკანოვი, როშან ისკანდაროვი, აივაზ ისკანდაროვი, მირკაზუმ იაგუბოვი, აკამედ იმამკულიევი, აზატ კარიმოვი, ადილ გურბანოვი, რაფიკ ჯაფაროვი, ივანე ხალულაშვილი.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი **დავით ხარშილაძე**. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების სპეციალისტი **ბექა გავაშელი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ბერიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ - ტექნიკური და კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი **კოტე ბოჭოძე**, ამავე განყოფილების სპეციალისტი **გელა შუბითიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსი **ია ესებუა**, ამავე განყოფილების სპეციალისტები: **მარიამ კაპანაძე**, **ხოშგადამ ნოვრუზალოვა**, **მარინე ბახტურიძე**, **თამუნა ჩაჩანიძე**, საორგანიზაციო განყოფილების სპეციალისტები: **ბელა თედორაძე**, **ნატო დოკვაძე**, აპარატის სპეციალისტები ხელშეკრულებით: **მარიამ ირიაული**, **გაბილ ხალილოვი**, **თამთა ქალდანი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი **ომარ ლუხუტაშვილი**.

ასევე ესწრებოდნენ:

რადიო მარნეულის და მარნეული TV-ს წარმომადგენლები.

## განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N01 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის შედეგების განხილვის შესახებ.
3. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2021 წლის 05 ოქტომბრის N07-3221278213 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2021 წლის 01 ნოემბრის N07-3221533 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2021 წლის 29 ოქტომბრის N07-3221302222 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
7. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2021 წლის 03 ნოემბრის N07-322130798 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „ახალგაზრდობის მხარდაჭერის“ (05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან „ინიციატივების თანადაფინანსებისა და ახალგაზრდული იდეების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „ახალგაზრდობის მხარდაჭერა“ (05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტებისათვის მგზავრობის ხარჯებით დახმარებისა და წარმატებული სტუდენტების წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“
10. სოციალური საკითხი.
11. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

## განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 05 ნოემბრის N32-322130968 წერილით შემოსული „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N01 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N36. 08.11.2021 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 15 ოქტომბრის N32-3221288205 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ წარადგინა დასკვნა, რომლის მიხედვით წარმოდგენილი ანგარიში კომისიის მიერ შეფასებულია დადებითად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N60. 08.11.2021 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N37. 08.11.2021 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქოების მართვისა და ბენებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ მთვარელიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 07 ოქტომბრის N32-3221280367 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2021 წლის 05 ოქტომბრის N07-3221278213 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც ითხოვენ თანხმობას მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილ-აჯლოში მდებარე მერის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 460,06 კვ.მ. ფართიდან 396,81 კვ.მ. ფართი (სარდაფი-133,65 კვ.მ. პირველი სართული - 161,49 კვ.მ. მეორე სართული - 101,67 კვ.მ.) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით, გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „ბავში, ოჯახი, საზოგადოება“-ს

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N61. 08.11.2021 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქოების მართვისა და ბენებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ მთვარელიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 01 ნოემბრის N32-3221305148 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2021 წლის 01 ნოემბრის N07-3221533 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც ითხოვენ შევიდეს ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 15 ივნისის N141 გაკარგულებაში და განხორციელდეს შულავერის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ შულავერში მდებარე ივერიონის უბნის უსახელო ქუჩების სახელდება.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N62. 08.11.2021 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქოების მართვისა და ბენებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ მთვარელიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 01 ნოემბრის N32-322130536 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2021 წლის 29 ოქტომბრის N07-3221302222 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც ითხოვენ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულებაში არსებული 7703 კვ.მ. არასასოფლო - სდამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე N1 შენობა - ნაგებობა („ძიუ-დო“-ს დარბაზი) გადაეცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა.ა.ი.პ. „მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა“-ს (საიდენტიფიკაციო N234230837) ხოლო N2 შენობა - ნაგებობა (მუსიკალური სკოლა) გადაეცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა.ა.ი.პ. „მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება“-ს - კულტურის ცენტრს (საიდენტიფიკაციო N234233497).

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N63. 08.11.2021 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქოების მართვისა და ბენებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ნოდარ მთვარელიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 05 ნოემბრის N32-3221309169 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2021 წლის 03 ნოემბრის N07-322130798 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც ითხოვენ სოფელ თამარისში, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულებაში არსებული 802 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N83.05.03.905) აშენებული ძიუ-დოს სპორტული დარბაზი, შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით, უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით უვადოდ სარგებლობაში გადაეცეს მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა.ა.ი.პ. „მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა“-ს (საიდენტიფიკაციო N234230837).

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N64. 08.11.2021 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების სპეციალისტმა ბექა გავაშელმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „ახალგაზრდობის მხარდაჭერის“ (05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან „ინიციატივების თანადაფინანსებისა და ახალგაზრდული იდეების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N38. 08.11.2021 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების სპეციალისტმა ბექა გავაშელმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „ახალგაზრდობის მხარდაჭერა“ (05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტებისათვის მგზავრობის ხარჯებით დახმარებისა და წარმატებული სტუდენტების წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N39. 08.11.2021 წ).

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბესიკ გუჯეჯიანი არ ესწრებოდა სხდომას, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ დახმარებას.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი და ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება საოქმო ამონაწერი გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს.

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N53 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის მეთვრამეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:  
ამირან გიორგაძე